ზ უ გ დ ი დ ი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY GOVERNMENT

გამგებლის ბრძანება

N 1945
03/08/2016

1945-02-4-201608031009

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. რუხში სკოლის საქვაბე შენობის დემონტაჟის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის", „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების, განაშენიანების რეგულირებისა და სამშენებლო სამართალდარღვევის" საკითხთა კომისიის 2016 წლის 2 აგვისტოს N25 ოქმის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნება მიეცეს სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. რუხის საჯარო სკოლას, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. რუხში, აწარმოოს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ კოდით: 43.10.45.015) მდებარე სკოლის საქვაბის შენობის დემონტაჟის სამუშაოები.
2. დემონტაჟის სამუშაოები ჩატარდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით.
3. დემონტაჟის სამუშაოების შემდეგ, ტერიტორიიდან გატანილ იქნეს სამშენებლო ნაგავი, სოფ. რუხის წარმომადგენელთან შეთანხმებით.
4. დემონტაჟის სამუშაოები, წარმოებულ იქნეს წარმოდგენილი პროექტისა და კალენდარული გეგმის დაცვით.
5. დემონტაჟის სამუშაოებზე კონტროლი დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურს.
6. ბრძანება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

2100 ზუგდიდი. რუსთაველის ქ. 90, ტელ: (0415) 25 01 23, (0415) 22 21 03 E- mail: zugdidi.gamgeoba@gmail.com

7.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. #12)

საფუძველი: 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N43.10.45.015

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის წერილი.

3. საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის წერილი.

4. დემონტაჟის პროექტი.

5. ქვითარი მოსაკრებლის გადახდის შესახებ.

გურგენ სართანია

გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა